



თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №4
2016 წლის 17 მარტი
დ. თიანეთი

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შევიდეს ცვლილება თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის შემდეგი კვოტები:

კომისიის დასახელება	წარმომადგენელთა რაოდენობა				
	ფრაქცია “ქართული ოცნება–თიანეთის მომავალი”	ფრაქცია “ქართული ოცნება–მრეწველები”	ფრაქცია “ქართული ოცნება–კონსერვატორები”	ფრაქცია “დემოკრატიული მოძრაობა”	ფრაქცია „თიანეთი“

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	3	1	1	2	1
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია	3	1	1	2	1
სოციალურ, ჯანდაცვის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა კომისია	4	1		2	1
სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების კომისია	3	1	1	2	1
ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია	3	1	1	2	1

2. განკარგულება ამოქმედდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში სასამართლოში შემდეგ მისამართზე დ. თიანეთი რუსთაველის ქ.№47

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მარინა ხარხელაური